

თუკი არსებობს ზღაპარი, მაშინ ეს ინდოეთია

სერჯიო ბასო

რომის ხელოვნების უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ვარლაამი და იოასაფი; იგავი ცხოველების შესახებ; აბრემუმის გზა; ინდო-ბერძნული დიალოგი; კროს-კულტურული ტრანსმისია

მკვლევარები, რომლებიც „ვარლაამ და იოასაფის“ საკითხებზე მუშაობენ, ცხოველების შესახებ არსებული ყველა იგავის წყაროდ ინდოეთს მიიჩნევენ, განსაკუთრებით თერიომორფულ ზღაპრულ ამბებს და ჩართულ იგავებს (fables). ბურზოის გამოცდილება, რომელმაც იმოგზაურა ინდოეთში „ქილილა და დამანას“ მოსაძებნად, წარმოადგენს ხოსროვ პირველის სამეფო კარზე გავრცელებული ინდოფილიის შემადგენელ ნაწილს, რასაც ასევე ადასტურებს Cetrang namag (ჭადრაკის წიგნი)¹ და ბოისის კვლევები² პართიელი მენესტრელების შესახებ.

თუმცა, თუკი ჩვენ ამ ინდოფილურ მიმართებას გავითვალისწინებთ და ვეცდებით, დავძებნოთ მისი არქეტიპი, რომელსაც ექნება დიალოგის ფორმა, განსაკუთრებით კითხვა-პასუხის სტრუქტურა³ და ეყოლება მეტყველების უნარის მქონე ცხოველები, ინდური შთაგონების ძებნა აღარ იქნება საჭირო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ტექსტს დიალოგური ფორმა აქვს და პერსონაჟებად მოსაუბრე ცხოველები არიან შერჩეულნი, სულაც არ ნიშნავს, რომ ინდური ძირები აქვს.

ძველი ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურის მკვლევარი რ. დ. ბარნეტის აზრით, „ცხოველური იგავი მიეკუთვნება ძველი აღმოსავლური სამყაროს ფოლკლორული ლიტერატურის ნიმუშს, რომელიც წერილობით წყაროებში ძირითადად არ შემონახულა.

¹ ფალაური სრული სახელწოდებით: *Wizā rishn ī Ā atrang ud Nihishn ī Nē w Ardaxshī r* (ჭადრაკის ამოხსნილი გამოცანა და ნარდის საპასუხო გამოცანა). გამოცანის ამომხსნელი არის Wuzurgmihr-ი, Bō xtag-ის ძე, რომელიც ამავედროულად ფალაური თხზულების *Ayā dgar*-ის ავტორია.

Cf. **Panaino, A. (1999).** Sadwēs, Anāhīd and the Manichaean Maiden of Light. In *Der östliche Manichäismus: Gattungs- und Werksge-schichte*.

² **Boyce, M. (1957).** The Parthian gōsān and Iranian minstrel tradition. *Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, 89(1-2), 10-45. <https://doi.org/10.1017/S0035869X00106938>

³ **Rigolio, A. (2019).** *Christians in conversation: A guide to late antique dialogues in Greek and Syriac*. Oxford University Press.; **Basso, S. (2020).** Circulation périphérique et « fluidité » des textes : *L'exemple du Barlaam kai Ioasaph* au XIe siècle. *Études Byzantines et Post-Byzantines*, 2(9).

ცხოველური იგავის სამშობლო, სადაც ჩვეულებრივი პერსონაჟთა როლები რევერსულადაა წარმოდგენილი და ცხოველები ადამიანების ნაცვლად მოქმედებენ, უპირველეს ყოვლისა, ინდოეთია. თუმცა ამის კვალი შეიძლება აღმოვაჩინოთ შუმერში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში, ურას სამეფოს აკლდამებში.¹

ძველი წელთაღრიცხვის 2700-2350 წლებით დათარიღებულ ძველ მესოპოტამიურ დინასტიურ ბეჭდებზე აშკარად შეიმჩნევა ცხოველური მოტივების მიმართ განსაკუთრებული მიდრეკილება. გარდა ამისა, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუმერული ლურსმული დამწერლობის შემცველი დაფები შეიცავს ანდაზებს, რომლებშიც პერსონაჟებად ცხოველები არიან გამოყვანილნი.

უფრო ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკლორული თემები, მეტყველების ფიგურები და ანდაზები მიგრირებენ გეოგრაფიულ და კულტურულ საზღვრებში იმ გზებით, რომელთა კვალის დადგენა და დოკუმენტირება ხშირად შეუძლებელია.² არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი ეგვიპტური და ასურული იგავი ბერძენთათვის ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში იყო ცნობილი, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ეს გავლენები ადრეული ან მნიშვნელოვანი იყო. როგორც ჩანს, იგავი გამოიგონეს ბერძნებმა - სავსებით შესაძლებელია, მცირე აზიის ბერძნებმა, იმ ლომების ქვეყანაში, რომელიც ლომებიც ასე ხშირად ფიგურირებენ იგავებში და რომელიც ქვეყანაც ტრადიციის მიხედვით ეზოპეს სამშობლოდ მიიჩნევა.³

თუმცადა, ამ „იგავების სამყაროში“ ბერძნული ელემენტების მოძიებაც შესაძლებელია. ბერძენთა არსებობა და მათი კულტურა საკმაოდ ნაყოფიერი იყო დიდი ხნის განმავლობაში ინდურ სუბკონტინენტზე, ბაქტრიაში (თანამედროვე ავღანეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის ტერიტორიები). საკმარისია Milindapañha-ს (मिलिन्दपण) («მეფე მილინდას შეკითხვები») ტექსტი გავიხსენოთ, ფილოსოფიური შინაარსის დიალოგი მეფე მენანდრესა და ბუდისტ მქადაგებელ ნაგასენას შორის, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე თარიღდება. სწორედ ამ ტექსტში შეგვიძლია ვიპოვოთ ვარლამისა და იოასაფის დიალოგის არქეტიპი.

Walter Burkert-მა⁴ დეტალური კვლევა გამოქვეყნა ანტიკურ ეპიქაში არსებულ „იგავთა გლობალურ სამყაროზე“ (იგავებისა და ამბების გავრცელებაზე ანტიკურ სამყაროში, რაც სხვადასხვა კულტურას ერთმანეთთან აკავშირებდა მსგავსად).

Canovaccio-ს კონცეპტის შემოტანა საჭირო შეიქნა იმისათვის, რომ შეგვემუშავებინა მოდელი, რომლის მიხედვითაც აიხსნებოდა ამბების გავრცელების ტრაექტორია აბრეშუმის გზის არეალში ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან მეათე საუკუნემდე. canovaccio-ის უამრავი მაგალითი გვაქვს აბრეშუმის გზაზე აღნიშნულ საუკუნეებში, შესაბამისად,

¹ cf. **Barnett, R. D. (1975).** Phrygia and the peoples of Anatolia in the Iron Age. In I. E. S. Edwards, C. J. Gadd, N. G. L. Hammond, & E. Sollberger (Eds.), *The Cambridge ancient history* (Vol. 2, Part 2, pp. 417-442). Cambridge University Press.

² **Lindenberger, J. M. (1983).** *The Aramaic proverbs of Ahiqar*. Johns Hopkins University Press.

³ **Handford, S. A. (Trans.). (1954).** *Fables of Aesop*. Penguin Books. p. xiv.

⁴ **Burkert, W. (2004).** *Babylon, Memphis, Persepolis: Eastern contexts of Greek culture*. Harvard University Press and Burkert's other works.

ავტორი განიხილავს ამგვარ შვიდ შემთხვევას, რომელმაც შესაძლოა ახსნას ვარლამისა და იოასაფის ციკლის არქეტიპი. მათ შორისაა მათემატიკის სახელმძღვანელოში მოთავსებული სავარჯიშოც.